ბრძანება:**ბ115.115220541**
თარიღი:**23/02/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2022 წლის 25 თებერვალს 12-00 საათზე, რომელიც გაიმართება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის:ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 თებერვლის№114-1142204968 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2.2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი:თედო ტაკიძე)

2.3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი:გელა გოგიტიძე)

2.4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების

დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

2.5. შპს ,,ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური“-ს 2022 წლის 14 თებერვლის მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: გია ხაბაზი)

2.6. ა(ა)იპ ,,ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2022 წლის 15 თებერვლის N50-11422046169 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: გუგული ნემსაძე)

2.7. ა(ა)იპ ,,ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლი“-ს 2022 წლის 8 იანვრისN01-21/5 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:კობა კაკალაძე)

2.8. ა(ა)იპ ,,ქობულეთის კულტურის ცენტრი“-ს 2022 წლის 14 თებერვლისN01-15/07 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:სოფიო მოწყობილი)

2.9. ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუზეუმი“-ს 2022 წლის 9 თებერვლის N01-18/3 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:რეზო ტაკიძე)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილისქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი